ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 251

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და №01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.764.983 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 310 000 (სამას ათი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, მიხეილ ლიბსკაიტეს (პ/ნ: 37001028493) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფანასკერტელის ქუჩის მიმდებარედ არსებული 816 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.16.006.115) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

2. „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.764.983 განკარგულებისა და ამ განკარგულების საფუძველზე მიხეილ ლიბსკაიტესთან (პ/ნ: 37001028493) ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან გაუქმდეს №01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე